

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„---05---“-----10-----“ 2017 წელი

ეგზ. № 2

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N45/36

2017 წელი

Contents

შესავალი	4
აუდიტის საგანი და სახეობა	4
აუდიტის მიზანი	4
აუდიტის მასშტაბი	5
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება.....	5
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
აუდიტის ობიექტის აღწერა	6
ძირითადი ტექსტი.....	9
1 „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა.....	9
1.1 საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება	9
2 „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა.	10
შეუსრულებელი სამუშაოები	11
პროექტები რომლებსაც ვერ იყენებს მოსახლეობა	12
შეძენილი და გამოუყენებელი სამშენებლო მასალები	15
ექსპერტიზის დასკვნები	16
3 შიდა აუდიტი.....	17
4 ფინანსური აუდიტი	18
4.1 პირობითი მოსაზრების საფუძველი	18
4.1.1 ინვენტარიზაცია.....	18
4.1.2 შენობა-ნაგებობები	19
4.1.3 არაწარმოებული აქტივები	19
4.1.4 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	20
4.1.5 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.....	21
4.1.6 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.....	21
4.1.7 ძირითადი კაპიტალის მოხმარება.....	22
აუდიტის პირობითი დასკვნა	23
ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	24
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	48
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	48

შემაჯამებელი მიმოხილვა

) 2015-2016 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია 1712.0 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 1 462.7 ათასი ლარი. მათ შორის მუნიციპალიტეტის 19 სოფელში გახარჯულია 173,3 ათასი ლარი ისეთ პროექტებზე (საბავშვო ბაღისა და სარიტუალო სახლის მშენებლობა, სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა, წყლის სისტემის და კულტურული ცენტრის მოწყობის სამუშაოები), რომლებიც დაუსრულებელია. შედეგად, მისაღები სიკეთით ვერ სარგებლობს მოსახლეობა.

) 2016 წელს შპს „სუპერ ჯგუფი ლდბჯ“-თან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სოფელ ხცისსა და ახალშენში წყლის ქსელის მოწყობას, ღირებულებით 120,0 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე შესრულდა ლაბორატორიის შენობისა და წყლის გაუსნეობვნების ელექტროქიმიური აქტივაციის ტექნოლოგიური სისტემის მშენებლობა, რაზეც გახარჯულია 75,8 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ წყლის გაუსნეობვნების ლაბორატორია არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ლაბორატორია არ არის შესული ექსპლოატაციაში ვინაიდან მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ლაბორატორიის ექსპლოატაციისათვის საჭირო სახსრები და ასევე, არ ყავთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მომსახურე პერსონალი. შედეგად მოსახლეობა ვერ იღებს მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯის შესაბამის სარგებელს.

) 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტს ნაშთად ერიცხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წინა წლებში შეძენილი სამშენებლო მასალები, საერთო ღირებულებით - 66,3 ათასი ლარი, რომლებიც დასაწყობებულია და არ გამოიყენება. შედეგად, მოსახლეობა ვერ იღებს იმ სარგებელს, რომელიც უნდა მიეღო შეძენილი მასალების გამოყენებით შესრულებული სამუშაოებიდან. მათ შორის 18,7 ათასი ლარის სამშენებლო მასალები შეძენილია 2012 წელს. მასალების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ მათი ნაწილი (ცემენტი დაახლოებით 16 ტ, საღებავები) გაფუჭებულია და უვარგისია გამოსაყენებლად.

) 2016 წელს სოფელ წრომში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესრულებულია ალტერნატიული საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 51,2 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ საბავშვო ბაღი განლაგებულია, სოფლის ადმინისტრაციის შენობის პირველ სართულზე, ხოლო სარემონტო სამუშაოები შესრულებულია მეორე სართულზე, სოფელში გამგებლის წარმომადგენლის (სოფლის ადმინისტრაციის) მიერ დაკავაზულ ფართზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რეაბილიტაციის ფარგლებში შესრულებულია შენობის სახურავის შეცვლა, რომელიც ასევე საბავშვო ბაღსაც ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, გამოყოფილი თანხის ძირითადი ნაწილი გახარჯულია ადმინისტრაციის მიერ დაკავებული ფართის სარეაბილიტაციოდ. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გათვალისწინებული თანხა შეადგენს წრომის თემში შემავალი 7 სოფლისათვის განსაზღვრულ სახსრებს.

) 2015-2016 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე, ხარჯების ანაზღაურების სახით, სულ გაცემულია 145,0 ათას ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ხარჯები ანაზღაურებულია ისე, რომ მათ მიერ არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

) 2016 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან. იმის გათვალისწინებით, რომ გამგეობა არ ახორციელებს ინვენტარიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაციები:

) მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

შესავალი

აუდიტის საგანი და სახეობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- 1) მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- 2) საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- 3) შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- 4) ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 18 733.4 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით იქნა გამოვლენილი განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“

პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

აუდიტის ობიექტის აღწერა

ხაშურის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 13 ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის, 1 ქალაქს და 12 სოფელს. ხაშურის მუნიციპალიტეტის ფართობია 585 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 62.3 ათასს კაცს¹. ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ხაშური. ხაშურის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

¹ www.nala.ge; www.geostat.ge, www.reestri.gov.ge

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობით, გადასახდელები განისაზღვრა 30 094,8 ათასი ლარით. აქედან, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 14,2%, ხოლო „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ პროგრამაზე გაწეულმა ხარჯმა გადასახდელების 48,0% შეადგინა. აღნიშნულ პროგრამებზე ჯამში დახარჯულია 18 733,4 ათასი ლარი².

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა³.

2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტმა დახარჯა 4 263,1 ათასი ლარი. მათ შორის 2015 წელს 2 010,5 ათასი, ხოლო 2016 წელს 2 252,6 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია: მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯები - 4 260,3 ათასი ლარი, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის ხარჯები - 2,8 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილ №1-ში.

ცხრილი N1: 2015-2016 წლებში 01 00 პროგრამაზე გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

გადასახდელები	2015	2016	ჯამი
ხარჯები	1993,1	2212,3	4205,5
<i>შრომის ანაზღაურება</i>	1531,1	1696,9	3228,0
<i>საქონელი და მომსახურება</i>	378,5	424,0	802,4
<i>სოციალური უზრუნველყოფა</i>	3,4	8,4	11,9
<i>სხვა ხარჯები</i>	80,2	83,0	163,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,8	38,5	54,3
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
ვალდებულებების კლება	1,6	1,8	3,4
ჯამი	2010,5	2252,6	4263,1


² „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა - 4 263,1 ათასი ლარი, „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ პროგრამა - 14 470,3 ათასი ლარი.

³ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა არ მოიცავს გამგეობის - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯებს, რომელმაც 2015-2016 წლებში 280,7 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ხარჯები ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ და ცალკე პროგრამული კოდით არის ბიუჯეტში წარმოდგენილი - „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პრ. კოდი 02 02).

„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 14 470,3 ათასი ლარი. მათ შორის 2015 წელს 6 386,3 ათასი, ხოლო 2016 წელს 8 084,0 ათასი ლარი. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია №1 დიაგრამაზე.

დიაგრამა 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯები



„ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამიდან თანხები ძირითადად გახარჯულია შემდეგი მიმართულებებით:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია (4 604,2 ათასი ლარი);
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (6 711,6 ათასი ლარი);
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (1 585,2 ათასი ლარი);
- კეთილმოწყობის სამუშაოები (1 569,2 ათასი ლარი);

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტების მიხედვით „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამის მოსალოდნელი შედეგებია:

- ┌ მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- ┌ ეკონომიკური ინტენსივობის ზრდა;
- ┌ გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;

-)/ განათებული მუნიციპალიტეტი;
-)/ გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგების შეფასების ინდიკატორებია:

-)/ რეაბილიტირებული გზების რაოდენობა;
-)/ ექსპლუატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;
-)/ გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
-)/ რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;

2015-2016 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაფორმებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 12 680,5 ათასი ლარი შეადგინა. მონაცემები წარმოდგენილია ცხრილის №2 სახით.

ცხრილი №2. 2015-2016 წლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები

შესყიდვის საშუალება	2015 წელი		2016 წელი		ჯამი	
	რაოდენობა	სახელმ. ღირებულება (ათასი ლარი)	რაოდენობა	სახელმ. ღირებულება (ათასი ლარი)	რაოდენობა	სახელმ. ღირებულება (ათასი ლარი)
გამარტივებული შესყიდვა	163	1870,3	94	200,9	275	2071,2
გამარტივებული ელ. ტენდერი	48	2303,5	57	1380,8	105	3684,3
ელექტრონული ტენდერი	20	1123,0	33	5655,7	53	6778,7
კონსოლიდირებული ტენდერი	9	81,6	9	64,7	18	146,3
სულ	240	5378,4	193	7302,1	433	12680,5

ძირითადი ტექსტი

1 „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა.

1.1 საკრებულოს დეპუტატების ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თანამდებობის პირის საქმიანობა⁴. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. მერიის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები⁵.

გამოვლენილი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე, გარდა თანამდებობის პირებისა, დამტკიცებულია უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი. 2015- 2016 წლებში დადგენილი წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, საკრებულოს წევრებს ყოველთვიურად განესაზღვრათ ზღვრული ოდენობა 397 ლარით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით სააუდიტო პერიოდში გაცემული თანხა სულ შეადგენს 145,0 ათას ლარს, მათ შორის, 2015 წელს - 75,7 ათასი ლარი, 2016 წელს - 69,3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებზე ხარჯები ანაზღაურებულია ისე, რომ მათ მიერ არ არის წარმოდგენილი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2 „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“

პროგრამა.

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანს მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება წარმოადგენს. მუნიციპალიტეტმა შეზღუდული რესურსების პირობებში მნიშვნელოვანია დააფინანსოს ისეთი პროექტები, რომელიც დააკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებას და თვითმართველი ერთეულის გრძელვადიანი განვითარების პირობებს შექმნის. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და

⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 41, პუნქტი 1.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

შეუსრულებელი სამუშაოები

- ✓ 2016 წლის 1 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „სუპერ ჯგუფ ლდბჯ“-სთან, ღირებულებით 36,2 ათასი ლარი, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მოხრეშვას და სოფელ წაღვლში ბეტონის გზის მოწყობას. მიმწოდებელმა შეასრულა 29,8 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო შეუსრულებელი დატოვა ორი სოფლის (კოდისწყარო, რბონი) საგზაო სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მიხედვით, მუნიციპალიტეტს მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ შეეძლო აენაზღაურებინა სახელშეკრულებო ღირებულების 70%, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო, მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. მიმწოდებელმა მიიღო სახელშეკრულებო თანხის 70% - 25,3 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი სამუშაოები არ შეასრულა და არც ექსპერტიზის დასკვა წარმოდგენია. შედეგად არ არის დადგენილი შესრულებული სამუშაოების ხარისხი და მოცულობა. აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული საკიხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა დაკისრებული მოვალეობების არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო, მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, შპს „სუპერ ჯგუფ ლდბჯ“-ის შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით⁶.
- ✓ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სისტემის მოსაწყობად, 2016 წლის 25 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება, შპს „გამრეკელთან“, ღირებულებით - 21,6 ათასი ლარი. (შპს „სუპერ ჯგუფ ლდბჯ“-ს და შპს „გამრეკელის“ დირექტორი არის ერთი პირი). 2016 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შესრულდა 14,5 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული 7,1 ათასი ლარის სამუშაოები შეუსრულებელია. კერძოდ, მუნიციპალიტეტის 3 სოფელში სამუშაოები შესრულებულია მხოლოდ ნაწილობრივ. შედეგად, მოსახლეობა ვერ იღებს იმ სარგებელს, რომელიც პროექტით იყო განსაზღვრული. აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული საკიხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა დაკისრებული მოვალეობების არაკეთილსინდისიერად შესრულების გამო, მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, შპს „გამრეკელის“ შავ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით⁷.
- ✓ 2015 წელს იმის გამო, რომ არ შედგა ტენდერი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არ არის შესრულებული შემდეგი სამუშაოები; სოფელ ღართაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და წყლის სისტემის მიწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 4,3 ათასი ლარი, სოფელ სარტყელაში სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და წყლის სისტემის მიწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 6,4 ათასი ლარი, სოფელ ცივწყაროში სათავე ნაგებობის მოწყობა - 2,8 ათასი ლარი, სოფელ კლდისწყაროში სკვერის შემოღობვის

⁶ 2017 წლის 18 ივლისს.

⁷ 2017 წლის 18 ივლისს.

სამუშაოები, ღირებულებით - 0,5 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები არ არის დასრულებული 2016 წლის პერიოდშიც.

პროექტები რომლებსაც ვერ იყენებს მოსახლეობა

- ✓ 2016 წლის 7 მარტს შპს „სუპერ ჯგუფი ლდბჯ“-თან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სოფელ ხცისსა და ახალშენში წყლის ქსელის მოწყობას, ღირებულებით 120,0 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე შესრულდა ლაბორატორიის შენობისა და წყლის გაუსნებოვნების ელექტროქიმიური აქტივაციის ტექნოლოგიური სისტემის მშენებლობა, რაზეც გათვალისწინებული იყო 75,8 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ წყლის გაუსნებოვნების ლაბორატორია არ ფუნქციონირებს. შედეგად მოსახლეობა ვერ იღებს მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯის შესაბამის სარგებელს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ლაბორატორია არ არის შესული ექსპლოატაციაში შემდეგი მიზეზების გამო: ლაბორატორიას არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალი, არ გააჩნია წყლის ფილტრაციისათვის საჭირო აუცილებელი მასალების (ქლორი, მარილი და სხვ.) შეძენისა და ელექტრო ენერგიის ხარჯის თანხები, არ არის განხორციელებული მოსახლეობის გამრიცხველიანობა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გაფილტრული წყლის უკონტროლო ხარჯი.
- ✓ 2015 წელს სოფელ გომის ადმინისტრაციულ (ძველი) შენობაში სპორტულ-კულტურული ცენტრის მოსაწყობად გახარჯულია 24,2 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს ამავე შენობის დარჩენილ ნაწილში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მოსაწყობად გაიხარჯა 23,4 ათასი ლარი (სულ 47,6 ათასი ლარი). ობიექტის ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ აღნიშნული შენობა დაკეტილია და არ გამოიყენება. შედეგად, მოსახლეობა ვერ სარგებლობს იმ მატერიალური სიკეთით, რომელიც უნდა მიეღო აღნიშნული პროექტის განხორციელებით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სპორტულ-კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრების ფუნქციონირებისათვის საჭიროა დამატებითი სახსრები. 2017 წელს აღნიშნული სამუშაოები არ არის გაგრძელებული და არც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით არის დაგეგმილი თანხების გამოყოფა.
- ✓ 2016 წელს სოფელ ცოცხნარას თემში შემავალ სოფლებში არ არის დასრულებული შემდეგი სამუშაოები: კულტურული ცენტრის მოწყობის სამუშაოები, გახარჯულია 14,0 ათასი ლარი, სოფელ ოძისში წყლის სისტემისა და სათავე ნაგებობის მოწყობა, 2015-2016 წლებში გახარჯულია 9,9 ათასი ლარი, სოფელ წაბლოვანაში, სარიტუალო დარბაზის მშენებლობა, 2015-2016 წლებში გახარჯულია 10,2 ათასი ლარი (სულ მშენებლობაზე 2011-2016 წლებში გახარჯულია 20,4 ათასი ლარი), სოფელ ცივწყაროში, წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, გახარჯულია 2,0 ათასი ლარი, სოფელ ცედანში წყლის სისტემის მოწყობა, 2015-2016 წლებში გახარჯულია 9,9 ათასი ლარი, სოფელ ქემფერში წყლის სათავე ნაგებობა, გახარჯულია 3,8 ათასი ლარი. შედეგად, მოსახლეობა ვერ იღებს გახარჯული თანხების შესაბამის სარგებელს. აღნიშნული სამუშაოები 2017 წელს არ არის განახლებული.

ს. ცოცხნარას კულტურის ცენტრი



ს. ოძისის წყლის სათავე ნაგებობა



ს. წაბლოვანას სარიტუალო სახლი



ს. ქემფერის წყლის სათავე ნაგებობა



- ✓ 2015 წელს სოფელ ზემო ბროლოსანში შესრულებულია სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 5,5 ათასი ლარი. სარიტუალო დარბაზის მოწყობის სამუშაოები არ არის დასრულებული. ასევე, ქვემო ბროლოსანში სარიტუალო დარბაზის სამზარეულოს გადახურვის მიზნით შეძენილია 0,7 ათასი ლარის სამშენებლო მასალები, რომლებიც არ არის გამოყენებული. შედეგად, შენობა არ არის გადახურული. აღნიშნული სამუშაოები არც 2016 წელს არ არის შესრულებული. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სოფლების ზემო და ქვემო ბროლოსანის სარიტუალო სახლებს არ გააჩნიათ ფუნქციური დატვირთვა, ვინაიდან აღნიშნული სოფლების სიახლოვეს მდებარეობს სარიტუალო სახლი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებს მოსახლეობა. შედეგად ზემო და ქვემო ბროლოსანის სარიტუალო სახლების მშენებლობაზე (ორივე სარიტუალო სახლი აშენებულია სრულად) გახარჯული თანხები, შესაძლებელია ჩაითვალოს როგორც არაეფექტიანი ხარჯი.

ს. ქვემო ბროლოსანის სარიტუალო
სახლის სამზარეულო



ს. ზემო ბროლოსანის სარიტუალო სახლი



- ✓ სოფელ მიწობში საბავშვო ბაღის მშენებლობაზე 2015-2016 წლებში გახარჯულია 14,5 ათასი ლარი. საბავშვო ბაღის მშენებლობა არ არის დასრულებული, ხოლო 2017 წელს აღნიშნული სამუშაოები არ არის განახლებული. შედეგად, მოსახლეობა ვერ სარგებლობს პროექტით გათვალისწინებული სიკეთით.
- ✓ სოფელ კრისხევში 2015-2016 წლებში განხორციელებულია სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 8,8 ათასი ლარი. სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ წყლის სისტემა არ ფუნქციონირებს, შესაბამისად მოსახლეობას არ მიეწოდება სასმელი წყალი. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, წყლის სისტემა არ ფუნქციონირებს იმის გამო, რომ არ არის მიყვანილი ბოლომდე, კერძოდ, დარჩენილია გარკვეული დამატებითი სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების დასრულება არ არის დაგეგმილი 2017 წლის პერიოდში.

სულ 2015-2016 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია 1 712,0 ათასი ლარი, აქედან ათვისებულია 1 462,7 ათასი ლარი. მათ შორის მუნიციპალიტეტის 19 სოფელში გახარჯულია 173,3 ათასი ლარი ისეთ პროექტებზე, რომლებიც დაუსრულებელია. შედეგად მისაღები სიკეთით ვერ სარგებლობს მოსახლეობა.

უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები

2015 წელს სოფელ ჩორჩანაში შესრულებულია სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა, ღირებულებით 4,8 ათასი ლარი. ობიექტის ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ, წყლის სათავე ნაგებობა დაზიანებული იყო, კერძოდ, გატეხილი იყო მიწის ზედაპირზე არსებული პლასტმასის მილი. შედეგად წყალი ბინძურდებოდა და მოსახლეობა ვერ იყენებდა სასმელად. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ.



შეძენილი და გამოუყენებელი სამშენებლო მასალები

2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტს ნაშთად ერიცხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეძენილი სამშენებლო მასალები, საერთო ღირებულებით - 61,2 ათასი ლარი, ხოლო 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 66,3 ათასი ლარის მასალები. შედეგად, მოსახლეობა ვერ იღებს იმ სარგებელს, რომელიც უნდა მიეღო შეძენილი მასალების გამოყენებით შესრულებული სამუშაოებიდან. მათ შორის 18,7 ათასი ლარის სამშენებლო მასალები შეძენილია 2012 წელს. მასალების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ მათი ნაწილი (ცემენტი დაახლოებით 16 ტ, საღებავები) გაფუჭებულია და უვარგისია გამოსაყენებლად.

შეძენილი და გამოუყენებელი სამშენებლო მასალები



სოფელ წრომის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები

2016 წელს სოფელ წრომში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესრულებულია ალტერნატიული საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 51,2 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერებით გაირკვა, რომ საბავშვო ბაღი განლაგებულია სოფლის ადმინისტრაციის შენობის პირველ სართულზე, ხოლო სარემონტო სამუშაოები შესრულებულია მეორე სართულზე, სოფელში გამგებლის წარმომადგენლის (სოფლის ადმინისტრაციის) მიერ დაკავებულ ფართზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რეაბილიტაციის ფარგლებში შესრულებულია შენობის სახურავის შეცვლა, რომელიც ასევე საბავშვო ბაღსაც ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, გამოყოფილი თანხის ძირითადი ნაწილი გახარჯულია ადმინისტრაციის მიერ დაკავებული ფართის სარეაბილიტაციოდ. აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გათვალისწინებული თანხა შეადგენს წრომის თემში შემავალი 7 სოფლისათვის განსაზღვრულ სახსრებს.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს თუ რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

ექსპერტიზის დასკვნები

კრიტერიუმი: კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად და მოსახლეობის სხვადასხვა სერვისებით უზრუნველყოფის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ სხვადასხვა სახის სამუშაოების შესყიდვებს. ამასთანავე, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ვალდებულებაა შეამოწმოს შესყიდული სამუშაოს ხარისხი და გადახდილ ფასთან შესაბამისობა. მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამუშაოების ნაწილი სპეციფიკური ხასიათისაა, მაგალითად, გზების მშენებლობის ხარისხის შემოწმება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. მუნიციპალიტეტს არ ჰყავს სათანადო საკადრო რესურსი და არ ფლობს შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რაც უზრუნველყოფს სპეციფიკური სამუშაოების ხარისხის კონტროლს. აქედან გამომდინარე, იგი სარგებლობს შესაბამისი სფეროს ექსპერტის მომსახურებით.

კვალიფიციურად ჩატარებული ექსპერტიზით მუნიციპალიტეტი იცავს მისი, როგორც შემსყიდველის ინტერესს და ამცირებს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარების რისკს.

გამოვლენილი გარემოება: არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, საგზაო სამუშაოების შესრულებისას, მიმწოდებელს ხელშეკრულებით მოეთხოვება ექსპერტის დასკვნის წარდგენა შესრულებული სამუშაოს ხარისხის დასადასტურებლად. აღნიშნული მოთხოვნა მიმწოდებლების მხრიდან შესრულებულია გარკვეული ხარვეზით:

2015-2016 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტში შესრულებულია 3 083.8 ათასი ლარის საგზაო სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ასფალტბეტონის ხარისხის დასადგენად, სამუშაოს შემსრულებელი თვითონ არჩევს ექსპერტს და განსაზღვრავს ექსპერტის წინაშე დასმულ კითხვებს. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნებში აღნიშნულია, რომ გამოსაკვლევი ასფალტბეტონის ნიმუში მოწოდებულია სამუშაოს შემსრულებლის მიერ, შესაბამისად ექსპერტი ეყრდნობოდა მიმწოდებლის მიერ წარდგენილ ასფალტის ნიმუშებს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებობს რისკი, რომ მიმწოდებლების მიერ საექსპერტო ლაბორატორიებში წარდგენილი ასფალტბეტონის ნიმუშები არ იყოს გზებზე დაგებული საფარის იდენტური და ექსპერტის შეფასება არ შეესაბამებოდეს რეალობას.

3 შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციის რისკის მართვის პროცესისა და კონტროლის სისტემის შემოწმება, შეფასება. აგრეთვე, დაწესებულების საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. შიდა აუდიტის სამსახური საქმიანობას ახორციელებს აუდიტის სუბიექტის უფროსის მიერ შემუშავებული, სტრატეგიულ გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების გრძელვადიანი მიზნებიდან, მოიცავს სამწლიან პერიოდს და განსაზღვრავს შიდა აუდიტის სფეროში სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს. შიდა აუდიტის წლიური გეგმა ეფუძნება შიდა აუდიტის სტრატეგიულ გეგმას და ასახავს კონკრეტულ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს.

შიდა აუდიტის სუბიექტი ახორციელებს დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასებას, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებას, დაწესებულების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრას.

გამოვლენილი გარემოება: წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2015-2016 წლებში ხაშურის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 16 აუდიტი (2015 წელს - 8 და 2016 წელს - 8). წარმოდგენილი აუდიტის გეგმებისა და წლიური ანგარიშების მიხედვით შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, რაც შეამცირებდა აუდიტის პერიოდში დაშვებულ ხარვეზებს.

მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს არ განუხორციელებია გამგეობის სამსახურების საქმიანობის შესწავლისა და რისკის შეფასების სათანადო პროცედურები. აღნიშნული პროცედურების საფუძველზე უნდა მომხდარიყო გამგეობის საქმიანობაში

ძირითადი რისკების იდენტიფიცირება. მუნიციპალიტეტში არსებულმა ფინანსური მართვისა და შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო გამოველინა ის უზუსტობები, რომლებიც აღნიშნულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში.

აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა სრულად არ ასახავს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

4 ფინანსური აუდიტი

4.1 პირობითი მოსაზრების საფუძველი

4.1.1 ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა აღწერა სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს;
- ✓ ნედლეულის და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

გამოვლენილი გარემოება: პასუხიმგებელი პირის განმარტებით 2016 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ

მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტებთან.

იმის გათვალისწინებით, რომ გამგეობა არ ახორციელებს ინვენტარიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

4.1.2 შენობა-ნაგებობები

გარემოება: 2016 წელს მუნიციპალიტეტს შესყიდული აქვს სოფელ ხალების 10 ახალი აბონენტის ელ. ენერგიის ქსელზე მიერთების მომსახურება, ღირებულებით 1.0 ათასი ლარი. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მომსახურება არასწორად არის მიკუთვნებული „შენობა-ნაგებობების“ მუხლს, ნარჩენი ღირებულებით 0,9 ათასი ლარი და დარიცხულია ცვეთა - 0,1 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა უნდა აღიარებულიყო ხარჯად და გატარებულიყო „სხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

- J ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №2.1 – „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართი №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“), „შენობა-ნაგებობების“ მუხლი გაზრდილია შესაბამისი თანხით.
- J ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართი ფორმა №3 - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“) შესაბამისი შემცირებულია „სხვა ხარჯების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- J არასწორად აღიარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო⁸, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართი ფორმა №3 - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართი №5 - „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) შესაბამისი თანხით გაზრდილია „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.

4.1.3 არაწარმოებული აქტივები

გარემოება: 2016 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის სსიპ „ქონების მართვის ეროვნული სააგენტოდან“ გადმოცემულია და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 11 ობიექტი, მათ შორის 8 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 3 შენობა-ნაგებობა. აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად არც ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის დარღვევები დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული დარღვევა-ნაკლოვანება არ არის გამოსწორებული.

გავლენა

- J ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანს - ფორმა №1), არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“, „არაწარმოებული აქტივებისა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები.
- J ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი №5 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“), „შენობა-ნაგებობების“, „არაწარმოებული აქტივებისა“ და „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლები.
- J არასწორად არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3 - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“) წმინდა ღირებულების სადებეტო და საკრედიტო ნაშთები.

4.1.4 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება: მუნიციპალიტეტს შესყიდული აქვს 0,8 ათასი ლარის ღირებულების ნოუთბუქი⁹, რომელიც საჩუქრად გადაეცა პროექტ ეტალონში გამარჯვებულ მოსწავლეს. აქტივი აყვანილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე და ასახულია „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლში. დარიცხული აქვს ცვეთა 0,2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა უნდა აღიარებულიყო ხარჯად და გატარებულიყო „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- J ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №2.1 – „ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართი №5 - „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) მუხლი - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ გაზრდილია შესაბამისი თანხით.
- J ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართი ფორმა №3 - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“) შესაბამისი თანხით შემცირებულია მუხლი - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- J ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი გატარების გამო (ბალანსის დანართი ფორმა №2 - „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართი ფორმა №3 - „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, ბალანსის დანართი №5 - „ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“) არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.

⁹ ხელშეკრულება N83. 05.05.2016

4.1.5 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

